ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

20-113

დადგენილება № ---

"30" დეკემბერი 2014 წ.

ქ. თბილისი

ქალაქ თბილისის საკრებულოს, ქალაქ თბილისის მერიისა და ქალაქ თბილისის მთავრობის ზოგიერთი ნორმატიული აქტის ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ

1. საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" 61-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტებისა და „ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს კანონის 25-ე მუხლის თანახმად ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა, ძალადაკარულად გამოცხადდეს ქალაქ თბილისის საკრებულოს, ქალაქ თბილისის მერიისა და ქალაქ თბილისის მთავრობის შემდეგი ნომატიულ-სამართლებრივი აქტები:

ა) ,,ქ. თბილისში გამწვანებული ტერიტორიებისა და ბუნებრივი რესურსების რაციონალურად გამოყენებაზე კონტროლისა და ზარალის ანაზღაურების წესის გამკაცრების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2002 წლის 29 მაისის გადაწყვეტილება N6-4;

ბ) ,,ქ. თბილისის მერის სარეზერვო ფონდთან დაკავშირებით ანგარიშის წარდგენის წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2006 წლის 24 თებერვლის გადაწყვეტილება N3-13;

გ) ,,ქ. თბილისის ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ქონების პირდაპირი მიყიდვის ფორმით პრივატიზების წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2010 წლის 27 აგვისტოს N 9-62 გადაწყვეტილება;

დ) ,,ქ.თბილისის საზოგადო მოღვაწეთა საბურთალოს პანთეონში დაკრძალვის წესის შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2000 წლის 1 მარტის გადაწყვეტილება N3-9;

ე) ,,ქ. თბილისში ადგილობრივი სატენდერო მოსაკრებლის შემოღებისა და გადახდის ინსტრუქციის თაობაზე" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2007 წლის 30 მარტის გადაწყვეტილება N 3-30;

ვ) „საქართველოს კულტურის და ძეგლთა დაცვისა და ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის გაერთიანებული სამეცნიერო-მეთოდური საბჭოს დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მერის 2009 წლის 15 იანვრის ბრძანება N10;

ზ) „ქალაქ თბილისში სოციალური საცხოვრისის საკითხთა შემსწავლელი კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მერის 2009 წლის 12 ოქტომბრის ბრძანება N45;

თ)„ქალაქ თბილისის მერიის შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების დაცვისა და ინტეგრაციის საბჭოს დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მერის 2009 წლის 18 ივნისის ბრძანება N 32;

ი) „ქ. თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრის რეორგანიზაციის შესახებ“ ქალაქ თბილისის მთავრობის 2012 წლის 5 ოქტომბრის დადგენილება №25.11.957;

კ) „ქალაქ თბილისის მერიის სსიპ – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურისათვის უფლებამოსილების მინიჭების შესახებ“ ქალაქ თბილისის მთავრობის 2011 წლის 27 დეკემბრის დადგენილება №35.13.1465;

ლ) „M2 კატეგორიის ავტობუსებით ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანისას მოქალაქეთა შეღავათიანი მგზავრობის შესახებ“ ქალაქ თბილისის მთავრობის 2013 წლის 26 ნოემბრის დადგენილება №29.01.1433;

მ) „ძველი თბილისის რეაბილიტაციის სახელმწიფო მიზნობრივი პროგრამის „ძველი თბილისის ახალი სიცოცხლე” დამატებითი ეტაპის გამოცხადებისა და მისი განხორციელების წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მთავრობის 2011 წლის 15 აპრილის დადგენილება №08.38.321;

ნ) „ქ. თბილისის ტერიტორიაზე გარე რეკლამის განთავსების სანებართვო პირობების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მთავრობის 2009 წლის 24 თებერვლის დადგენილება N05.10.119;

ო) „ქ. თბილისის ტერიტორიაზე უნებართვო გარე ვაჭრობის ფაქტების აღკვეთისას ჩამორთმეული სამართალდარღვევის საგნების (საქონლის) განკარგვის წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მთავრობის 2011 წლის 11 ნოემბრის დადგენილება №31.09.1265;

 პ) „სადაზღვევო კომპანიების, ქალაქ თბილისის მერიის და სხვადასხვა ორგანიზაციების მიერ ქალაქ თბილისის მოსახლეობის სასწრაფო სამედიცინო დახმარების მომსახურების ასანაზღაურებელი ღირებულების განსაზღვრის შესახებ“ ქალაქ თბილისის მთავრობის 2012 წლის 4 იანვრის დადგენილება №01.01.01.

2. დადგენილება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ალიბეგაშვილი